

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
„კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
4. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები	13
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	16
6. ფული და ფულადი ეკვივალენტები.....	17
7. კლიენტებზე გაცემული სესხები	17
8. ძირითადი საშუალებები.....	21
9. არამატერიალური აქტივები	22
10. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები	22
11. სხვა აქტივები	23
12. მიღებული სესხები.....	23
13. საკუთარი კაპიტალი	24
14. პირობითი ვალდებულებები	24
15. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	25
16. სესხის გაუფასურების ზარალი.....	25
17. შემოსავალი ჯარიმების სახით.....	25
18. სხვა შემოსავალი	25
19. საოპერაციო ხარჯი.....	26
20. მოგების გადასახადის ხარჯი.....	26
21. რისკების მართვა და შიდა კონტროლი.....	27



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისის“ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისის“ კომპანიისგან, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისის“ მმართველობით ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.



ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისის“ ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისის“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისის“ სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორს, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

თამაზ სიქტურაშვილი

შპს „აუდიტ - პროფესიონალი“-ს სახელით

ქუთაისი, საქართველო

05 ივნისი 2018 წელი



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“ სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორს, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

თამაზ სიქტურაშვილი

შპს „აუდიტ - პროფესიონალი“-ს სახელით

ქუთაისი, საქართველო

05 ივნისი 2018 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2017 ლარი	2016 ლარი
აქტივები			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	6	34 319	39 157
გაცემული სესხები	7	2 053 478	2 102 239
ძირითადი საშუალებები	8	23 663	25 199
არამატერიალური აქტივი	9	39 790	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	10	64 867	85 254
სხვა აქტივები	11	23 820	17 136
სულ აქტივები		2 239 938	2 268 984
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	1 783 962	1 678 823
გადასახდელი პროცენტები		5 079	5 762
საგადასახადო ვალდებულება		1 073	9 087
სულ ვალდებულებები		1 790 114	1 693 672
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		301 000	301 000
გაუნაწილებელი მოგება		148 824	274 312
სულ საკუთარი კაპიტალი	13	449 824	575 312
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 239 938	2 268 984

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 04 ივნისს

კახა დარსანია
დირექტორი

ქეთევან თოდუა
ბუღალტერი

7-34 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
აქტივები			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	6	34 319	39 157
გაცემული სესხები	7	2 053 478	2 102 239
ძირითადი საშუალებები	8	23 663	25 199
არამატერიალური აქტივი	9	39 790	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	10	64 867	85 254
სხვა აქტივები	11	23 820	17 136
სულ აქტივები		2 239 938	2 268 984
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	1 783 962	1 678 823
გადასახდელი პროცენტები		5 079	5 762
საგადასახადო ვალდებულება		1 073	9 087
სულ ვალდებულებები		1 790 114	1 693 672
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		301 000	301 000
გაუნაწილებელი მოგება		148 824	274 312
სულ საკუთარი კაპიტალი	13	449 824	575 312
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 239 938	2 268 984

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 04 ივნისს

კაზა დარსანია
დირექტორი



ქეთევან თოდუა
ბუღალტერი

7-34 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი		1 006 115	967 431
საპროცენტო ხარჯი		(113 716)	(103 755)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	15	892 399	863 675
სესხის გაუფასურების ზარალი	16	(477 235)	(326 850)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ზარალის შემდეგ		415 164	536 826
შემოსავალი ჯარიმების სახით	17	71 038	55 743
სხვა შემოსავალი	18	97 291	105 884
საოპერაციო ხარჯები	19	(440 863)	(423 880)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(201)	(51)
კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)		481	(14 616)
მოგება გადასახადამდე		142 910	259 906
მოგების გადასახადის ხარჯი	20	(108 398)	(38 986)
წლის მოგება		34 512	220 920

კახა დარსანია
დირექტორი

ქეთევან თოდუა
ბუღალტერი

7-34 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2017 ლარი	2016 ლარი
საპროცენტო შემოსავალი		1 006 115	967 431
საპროცენტო ხარჯი		(113 716)	(103 755)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	15	892 399	863 675
სესხის გაუფასურების ზარალი	16	(477 235)	(326 850)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ზარალის შემდეგ		415 164	536 826
შემოსავალი ჯარიმების სახით	17	71 038	55 743
სხვა შემოსავალი	18	97 291	105 884
საოპერაციო ხარჯები	19	(440 863)	(423 880)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(201)	(51)
კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)		481	(14 616)
მოგება გადასახადამდე		142 910	259 906
მოგების გადასახადის ხარჯი	20	(108 398)	(38 986)
წლის მოგება		34 512	220 920

კახა დარსანია
დირექტორიქეთევან თოდუა
ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	მფლობელთა კაპიტალი	საერთო რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2014 წლის 1 იანვარს	300 000	1 704	652 825	954 529
წლის მოგება	-	-	327 181	327 181
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბერს	300 000	1 704	980 005	1 281 709
ცვლილება კაპიტალში	1 000	-	-	1 000
ცვლილება რეზერვში		(1 704)	-	(1 704)
წლის მოგება	-	-	246 785	246 785
გადახდილი დივიდენდები	-	-	(980 005)	(980 005)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბერს	301 000	-	246 785	547 785
წლის მოგება	-	-	220 920	220 920
გადახდილი დივიდენდები	-	-	(193 393)	(193 393)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	301 000	-	274 312	575 312
წლის მოგება	-	-	34 512	34 512
გადახდილი დივიდენდები	-	-	(160 000)	(160 000)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	301 000	-	148 824	449 824

კახა დარსანია
დირექტორი

ქეთევან თოდუა
ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	მფლობელთა კაპიტალი	საერთო რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2014 წლის 1 იანვარს	300 000	1 704	652 825	954 529
წლის მოგება	-	-	327 181	327 181
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბერს	300 000	1 704	980 005	1 281 709
ცვლილება კაპიტალში	1 000	-	-	1 000
ცვლილება რეზერვში	-	(1 704)	-	(1 704)
წლის მოგება	-	-	246 785	246 785
გადახდილი დივიდენდები	-	-	(980 005)	(980 005)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბერს	301 000	-	246 785	547 785
წლის მოგება	-	-	220 920	220 920
გადახდილი დივიდენდები	-	-	(193 393)	(193 393)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	301 000	-	274 312	575 312
წლის მოგება	-	-	34 512	34 512
გადახდილი დივიდენდები	-	-	(160 000)	(160 000)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	301 000	-	148 824	449 824

კახა დარსანია
დირექტორი



ქეთევან თოდუა
ბუღალტერი

7-34 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2017 ლარი	2016 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტები		905 014	899 259
გადახდილი პროცენტები		(100 867)	(94 688)
მიღებული ჯარიმები		28 571	25 257
მიღებული საკომისიოები		94 535	101 454
ადრე ჩამოწერილი სესხების დაფარვა		119 385	74 903
სხვა მიღებული შემოსავალი		2 776	
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(296 120)	(291 378)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(4 419)	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე		748 875	714 806
<u>საოპერაციო აქტივების შემცირება/(ზრდა):</u>			
კლიენტებისათვის მიცემული სესხები		(406 184)	(494 100)
წინასწარ გადახდილი ფულადი სახსრები		(8 783)	(13 930)
სხვა საოპერაციო აქტივები		-	29 061
<u>საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება):</u>			
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(58 526)	(49 191)
გადახდილი გადასახადები (მოგების გარდა)		(88 506)	(86 598)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე		186 876	100 049
გადახდილი მოგების გადასახადი		(86 000)	(88 477)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		100 876	11 572
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(5 251)	(494)
არამატერიალური აქტივის შეძენა		(40 124)	-
ძირითადი საშუალებების გასვლა		-	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(45 375)	(494)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება	12	360 000	25 583
სესხების დაფარვა	12	(259 595)	(51 682)
გადახდილი დივიდენდები	13	(160 000)	(66 500)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(59 595)	(92 599)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ნამატი		(4 094)	(81 521)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(744)	(573)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის		39 157	121 251
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასასრულისათვის		34 319	39 157

კახა დარსანია
დირექტორიქეთევან თოდუა
ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2017 ლარი	2016 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტები		905 014	899 259
გადახდილი პროცენტები		(100 867)	(94 688)
მიღებული ჯარიმები		28 571	25 257
მიღებული საკომისიოები		94 535	101 454
ადრე ჩამოწერილი სესხების დაფარვა		119 385	74 903
სხვა მიღებული შემოსავალი		2 776	
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(296 120)	(291 378)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(4 419)	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე		748 875	714 806
<u>საოპერაციო აქტივების შემცირება/(ზრდა):</u>			
კლიენტებისათვის მიცემული სესხები		(406 184)	(494 100)
წინასწარ გადახდილი ფულადი სახსრები		(8 783)	(13 930)
სხვა საოპერაციო აქტივები		-	29 061
<u>საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება):</u>			
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(58 526)	(49 191)
გადახდილი გადასახადები (მოგების გარდა)		(88 506)	(86 598)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		186 876	100 049
მოგების გადასახადის გადახდამდე		(86 000)	(88 477)
გადახდილი მოგების გადასახადი		100 876	11 572
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები			
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(5 251)	(494)
არამატერიალური აქტივის შეძენა		(40 124)	-
ძირითადი საშუალებების გასვლა		-	
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(45 375)	(494)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება	12	360 000	25 583
სესხების დაფარვა	12	(259 595)	(51 682)
გადახდილი დივიდენდები	13	(160 000)	(66 500)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(59 595)	(92 599)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ნამატი		(4 094)	(81 521)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(744)	(573)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის		39 157	121 251
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასასრულისათვის		34 319	39 157

კახა დარსანია
დირექტორიქეთევან თოდუა
ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მისო „კრედიტ სერვისი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, ქ. ზუგდიდში. რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, ჩართულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში და აყვანილია საგადასახადო აღრიცხვაზე 11.12.2007 წ. კომპანიის იურიდიული მისამართია, 2100 ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. №84.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მისო „კრედიტ სერვისი“-ს კაპიტალის 99%-ის მფლობელი პარტნიორები არიან 10 ფიზიკური პირი, ხოლო 1%-ის მფლობელი დარჩა არაკომერციული ორგანიზაცია: ააპ „ნდობის კავშირი“.

კომპანიის მიზანია, ხელი შეუწყოს და განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, გააუმჯობესოს კლიენტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები, აგრო სესხები, სამომხმარებლო სესხები, იპოთეკური სესხები, ბიზნეს სესხები და ა.შ.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2. მომზადების საფუძველი

(ა) ანგარიშგების შესაბამისობა და შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფას“) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების გამოყენებით.

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთეულამდე სიზუსტით.

(ბ) მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში

(ა) უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ

ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

(ბ) სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპები

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება

თავდაპირველი აღიარება ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების გადატანა ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში გადიოდა.

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს

ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ეს ინსტრუმენტები მოიცავს ნასესხებ სახსრებს.

(ii) შეფასება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხორციელდება რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება ოპერაციის ის დანახარჯები რომელიც უშუალოდ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით, შეძენის ან გადაცემისას ოპერაციის ღირებულების გამოკლების გარეშე, გარდა სესხების და მოთხოვნებისა, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც განისაზღვრება რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე მოგებაში ან ზარალში ასახვით, და იმ ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოიშობა რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გადაცემისას, რომელიც არ განაპირობებს აღიარების შეწყვეტას, აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების და მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(iii) ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს ძირითადი გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა და მინუს გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. პრემიები და დისკონტები, თავდაპირველი ოპერაციის ხარჯების ჩათვლით, ჩართულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ამ ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

(iv) მოგება ან ზარალი შემდგომი შეფასებისას

რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივიდან წარმოშობილი შედეგი, აისახება მოგებაში ან ზარალში. ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსავალი ან ხარჯი, აღიარდება მოგება-ზარალში ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას ან გაუფასურებისას.

(v) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა კომპანია გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა კომპანია არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკებსა და სარგებელს და არ აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს.

ფინანსური აქტივი, რომელიც ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას, დარჩენილი ნებისმიერი წილი, რომელიც იქმნება ან რჩება კომპანიაში, აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან იწურება, შესაბამისად კომპანია ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომელთა გადახდა უიმედოდ არის მიჩნეული.

(vi) ჩათვლა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ჩათვლილი და ნეტო თანხით წარმოდგენილი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი უფლება, რომ

ჩათვლილ იქნეს აღიარებული თანხები და არის ურთიერთჩათვლის განზრახვა, ან არსებობს ვალდებულების დაფარვისა და აქტივის რეალიზაციის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

(vii) გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივები ან აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. თუ არსებობს ასეთი მტკიცებულება, კომპანია განსაზღვრავს გაუფასურებისაგან მიღებული ზარალის თანხას.

ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება და გაუფასურების ზარალი წარმოიქმნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმ გაუფასურების, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე იმ მოვლენით, რომელიც/რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ამგვარმა მოვლენამ (ან მოვლენებმა) ზეგავლენა იქონია მის მომავალ სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რომლის სარწმუნოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ობიექტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურდა, მოიცავს მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობას ან სესხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებისა თუ პირობის დარღვევის შემთხვევას, ფინანსური აქტივის ან აქტივთა ჯგუფის რესტრუქტურისაგან ისეთი პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა, ნიშნებს იმის თაობაზე, რომ მსესხებელი ან თავმდეები გაკოტრდა, ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობას, უზრუნველყოფის გაუფასურებას ან აქტივების ჯგუფთან დაკავშირებულ სხვა შესაძენვე მონაცემებს, მაგალითად, ჯგუფში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფით ცვლილებებს, ან ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალი მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

(viii) ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შედგება სესხებისა და სხვა მოთხოვნებისგან. კომპანია რეგულარულად ახორციელებს მათ გადახედვას გაუფასურების მაჩვენებლების შეფასების მიზნით.

კომპანია, პირველ რიგში, განსაზღვრავს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს განცალკევებით, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისა და მოთხოვნებისათვის, თუ ინდივიდუალურად ან ერთიანად სესხებისა და მოთხოვნებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვან აქტივებს არ წარმოადგენენ. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული სესხების ან მოთხოვნების (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია სესხს აერთიანებს მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე სესხებსა და მოთხოვნებში და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ.

სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების კუთხით და რომელთათვისაც ხდება და გრძელდება გაუფასურების ზარალის აღიარება, გაუფასურების ერთიანი შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სესხთან ან მოთხოვნასთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის დადგომის ობიექტური მტკიცებულება, ამ ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა სესხის ან მოთხოვნის საბალანსო ღირებულებასა და სესხის ან მოთხოვნის დისკონტირებული მომავალი სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მათ შორის თავდაპირველი გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებული მომავალი ფულადი ნაკადების), რომელიც დისკონტირებულია სესხის ან მოთხოვნის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას.

მაშინ, როდესაც სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვების მიმართ. კომპანია ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს (და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს), როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც დასრულდება ყველა ის ქმედება, რომელიც გამიზნული იყო სესხის ამოსაღებად.

(დ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისაგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან. მათი ასახვა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

(ე) არაფინანსური აქტივები

გადავადებული გადასახადების გარდა, კომპანიის სხვა არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული სააანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების მაჩვენებელი.

არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება არის ამ აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადაჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ დაშვებებში. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

(ვ) დივიდენდები

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს, ასევე კომპანიის წესდებას.

(ზ) შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების საკომისიო და სხვა საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენენ სესხის ზოგადი შემოსავლიანობის განუყოფელ ნაწილს, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, ექვემდებარებიან გადავადებას და ამორტიზაციას საპროცენტო შემოსავლის მიმართ, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სარგებლიანობის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა მოსაკრებლების, საკომისიოებისა და სხვა შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით საოპერაციო იჯარის ვადის ამოწურვამდე. მიღებული საიჯარო სტიმულირება აღიარდება როგორც სრული საიჯარო ხარჯის შემადგენელი ნაწილი, იჯარის ვადის განმავლობაში.

(თ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების თანხების ჯამისგან. მიმდინარე მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წლის დასაბეგრი (15%-იანი განაკვეთი) მოგების საფუძველზე.

გადავადებული გადასახადი წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულების საბალანსო ღირებულებებსა და მათი შესაბამისი საგადასახადო ბაზის მონაცემებს შორის სხვაობის (დროებითი სხვაობა) შედეგს. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარება ხდება

ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს დასაბეგრ მოგებას და გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება გადავადებული საგადასახადო აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების შეფასება და განხილვა და სწორდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს მომავალი დასაბეგრი მოგების მიმდინარე შეფასებები. ნებისმიერი კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია იმ პერიოდების დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის) მიმართ, რომელთათვისაც ივარაუდება გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვა. გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის დადგენილი ან არსებითად დადგენილი საგადასახადო განაკვეთის და მოქმედი კანონმდებლობის გამოყენებით.

(ი) იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც იჯარის პირობებით გათვალისწინებულია იჯარით აღებული აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებლის ძირეული გადასვლა კომპანიაზე. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა.

(კ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

➤ შენობა-ნაგებობები	3- 5%
➤ მანქანა-დანადგარები	14-20%
➤ საოფისე აღჭურვილობა	14-20%
➤ ავეჯი და მოწყობილობები	14-20%
➤ სატრანსპორტო საშუალებები	10-20%
➤ სხვა ძირითადი საშუალებები	5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(ლ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

(მ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა

განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

(ნ) სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

კომპანიას ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

(ო) ანარიცხები

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

(ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში შესული ცვლილებები, რომელიც ძალაშია მიმდინარე წელს

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“

კომპანიამ მიმდინარე პერიოდში პირველად მიიღო არსებული შესწორება. შესწორება შეეხო ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ეხმარება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს კომპანიის ლიკვიდურობის მდგომარეობის უკეთ შეფასებაში. ახალი მოთხოვნების თანახმად კომპანია ვალდებულია გახსნას ინფორმაცია თავის ფინანსურ ვალდებულებებში, როგორც ფულადი მუხლებით ისე არაფულადი მუხლებით მომხმარებელთა ცვლილებებზე.

ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები კომპანიას აქვს მოზიდული სახსრების, ფიზიკური და იურიდიული პირებიდან და საბანკო სესხების სახით. სტანდარტის აღნიშნულ ცვლილებას სხვა გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოუხდენია. ინფორმაცია ამ ცვლილებებთან დაკავშირებით განმარტებულია შენიშვნა-12-ში.

ცვლილებები ბასს 12-ში „მოგებიდან გადასახადები“

კომპანიამ მიმდინარე პერიოდში პირველად მიიღო არსებული შესწორება, რომელმაც განმარტა აღრიცხვის მიზნებისათვის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მაგრამ საგადასახადო მიზნებისათვის თვითღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების გადავადებული საგადასახადო აქტივების ბუღალტრული აღრიცხვის წესი.

აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

(ბ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შემოღებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. სტანდარტით დამტკიცდა კლასიფიკაციისა და შეფასების, გაუფასურებისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი წესები.

კლასიფიცირებასა და შეფასებას რაც შეეხება, ეს ახალი სტანდარტი მოითხოვს წილობრივი ინსტრუმენტებისა და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა ყველა ფინანსური აქტივის შეფასებას საწარმოს მიერ ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელის და ასევე ამ ინსტრუმენტზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავისებურებების საფუძველზე.

ბასს 39-ის შეფასების კატეგორიები ჩანაცვლება შემდეგით: სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში (FVPL), სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), და ამორტიზებული ღირებულების კატეგორიები. ამასთანავე, ფასს 9 საწარმოებს საშუალებას მისცემს, რომ ის ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, შეუქცევადად განსაზღვროს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუკი ეს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას მთლიანად აღმოფხვრის ან საგრძნობლად შეამცირებს. წილობრივი ინსტრუმენტები, რომელთა ფლობის მიზანიც არ არის გაყიდვა, შეიძლება შეუქცევადად განსაზღვროს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, რის შემდეგაც მოგების ან ზარალის რეკლასიფიცირება აღარ მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა მეტწილად იგივე დარჩება, რაც ბასს 39-ითაა გათვალისწინებული.

ფასს 9-ით ასევე ძირეულად შეიცვლება მიდგომა სესხის გაუფასურებისადმი. ეს სტანდარტი ბასს 39-ის მიღებული ზარალის მიდგომას ჩანაცვლებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული, და არა წარსულზე. ბანკი ვალდებული იქნება ყველა სესხისა და სხვა დებიტორული ფინანსური აქტივისთვის, რომლებიც არ არის მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, ასევე სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის, შექმნას მოსალოდნელი ზარალის რეზერვი. რეზერვი დაეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი, ამ შემთხვევაში რეზერვი უნდა ეყრდნობოდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში.

ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. რეტროსპექტულად გამოყენება სავალდებულოა, თუმცა შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება არ მოითხოვება; გადასვლის თარიღზე (2018 წლის 1 იანვარი) ეფექტი უნდა აღირიცხოს გაუნაწილებელ მოგებაში. ფასს 9-ის მიღება, მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს კომპანიის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს კომპანიის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. კომპანია მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის კაპიტალზე, გაუფასურებასთან დაკავშირებით ფასს 9-ის მოთხოვნების შემოღების გამო, მაგრამ გავლენის მასშტაბის დასადგენად მას დასჭირდება დამატებითი დეტალური ანალიზის ჩატარება, რომელიც გაითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, საპროგნოზო ელემენტების ჩათვლით. ზოგადად ხელმძღვანელობა მოელის, რომ ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოყენება კომპანიას მიიყვანს სტანდარტში მოცემული სტატიების მიხედვით საკრედიტო ზარალის უფრო ადრე აღიარებასთან და ზარალის თანხის ზრდასთან.

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4-თან ერთად „სადაზღვევო კონტრაქტები“ - ცვლილებები ფასს 4-ში

ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 9-ის დანერგვიდან სადაზღვევო კონტრაქტების შესახებ ახალი სტანდარტის დანერგვამდე, რომელიც საბჭომ ფასს 4-ის ჩასანაცვლებლად შეიმუშავა. ეს ცვლილებები საწარმოებს სადაზღვევო კონტრაქტების გაფორმების ორ ვარიანტს სთავაზობს: დროებითი გამონაკლისი ფასს 9-ის გამოყენებიდან და „გადაფარვის“ მიდგომა. ნებაყოფლობითი დროებითი გამონაკლისი ფასს 9-ის გამოყენებიდან განკუთვნილია იმ საწარმოებისთვის, რომლებიც მეტწილად დაზღვევით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. დროებითი გამონაკლისი ასეთ საწარმოებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და გადაადგონ ფასს 9-ის გამოყენება მაქსიმუმ 2021 წლის 1 იანვრამდე. გადაფარვის მიდგომა საწარმოსგან მოითხოვს, რომ არ გაითვალისწინოს თავისი მოგების ან ზარალის ის დამატებითი მერყეობა, რომელიც შეიძლება განაპირობოს ფასს 4-თან ერთად ფასს 9-ის გამოყენებამ.

დროებითი გამონაკლისის გამოყენება შესაძლებელია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. საწარმოს შეუძლია გადაფარვის მიდგომის არჩევა, როდესაც იგი პირველად გამოიყენებს ფასს 9-ს და ამ მიდგომის გამოყენება რეტროსპექტულად იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით, რომლებზეც მოქმედებს ფასს 9-ზე გადასვლა.

ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება კომპანიაზე.

ფასს 16 „იჯარა“

2016 წლის იანვარში ბასსს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 „იჯარა“ . ახალი

სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით,

აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და სამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება.

კომპანია არ მოელის ფასს 16-ის ვადაზე ადრე მიღებას და ამ ეტაპზე აფასებს მის გავლენას.

ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

2014 წლის მაისში ბასსს-მა გამოსცა ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“, რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ფასს 15 განსაზღვრავს შემოსავლის აღიარების პრინციპებს და გავრცელდება კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე. თუმცა, ფინანსურ ინსტრუმენტებისა და იჯარის თანმდევი საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი კვლავაც გასცდება ფასს 15-ის სამოქმედო არეალს და დარეგულირდება სხვა მოქმედი სტანდარტებით (მაგ. ფასს 9-ით და ფასს 16-ით „იჯარა“).

ფასს 15-ის თანახმად, შემოსავლის აღიარება უნდა მოხდეს საქონლის ან მომსახურების გადაცემისას იმ ოდენობით, რა ოდენობის კომპენსაციასაც გადამცემი მოელის საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. სტანდარტით ასევე დაზუსტდება სავალდებულო განმარტებითი შენიშვნების სრული პაკეტი შემოსავლის ხასიათის, ოდენობისა და ვადების, ასევე მისი განუსაზღვრელობისა და კლიენტებთან შესაბამისი ფულადი ნაკადების შესახებ.

კომპანიას არ მიუღია ფასს 15 ვადაზე ადრე და ამ ეტაპზე აფასებს მის გავლენას.

ცვლილებები ფასს 2-ში

ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ფასს 2-ში „წილობრივი გადახდა“, რომლებიც ეხება წილობრივი გადახდი

ოპერაციების კლასიფიკაციასა და შეფასებას. ამ ცვლილებების მიზანია პრაქტიკაში არსებული განსხვავებების აღმოფხვრა, მაგრამ მათი სამოქმედო არეალი ვიწროა და ეხება კლასიფიკაციისა და შეფასების მხოლოდ სპეციფიკურ ასპექტებს. კერძოდ, ცვლილებები შემდეგ სამ ძირითად საკითხს ეხება:

- უფლების გადაცემის პირობების გავლენა ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის ოპერაციის შეფასებაზე.
- მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის პირობების მქონე წილობრივი გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია გადასახადის დაკავების ვალდებულებისთვის.
- წილობრივი გადახდის ოპერაციების პირობების ცვლილების შედეგად ფულით განსაზღვრულის კატეგორიიდან. მათი წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრულის კატეგორიაში გადატანის აღრიცხვა.

ცვლილებები ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ცვლილების მიღებისას საწარმოებს მოეთხოვებათ ცვლილებების გამოყენება წინა პერიოდების გადაანგარიშების გარეშე, მაგრამ რეტროსპექტულად გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მას გამოიყენებს სამივე ცვლილების შემთხვევაში და ასევე დაკმაყოფილება სხვა კრიტერიუმებიც. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც.

ამცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება კომპანიაზე.

ფაისკ 23 – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“

ფაისკ 23 აკონკრეტებს მოგებიდან გადასახადებთან დაკავშირებული გაურკვევლობის აღრიცხვის წესს.

ინტერპრეტაცია ეხება დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის), საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის და საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრას, როდესაც არსებობს გაურკვევლობა ბასს 12-ის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით. ფაისკ 23 ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც.

ამ დროისთვის კომპანია აფასებს ზემოაღნიშნული ცვლილების გავლენას.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების სახით ასახულ თანხებზე.

განუსაზღვრელობის შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, კომპანიის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია: სესხების გაუფასურების რეზერვი. კომპანიის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. გაუფასურების ზარალს კომპანია განსაზღვრავს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებელთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. კომპანია ასევე აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს მსესხებელთა ჯგუფის კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე, ან ისეთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცვლილებებზე, რომლებიც იწვევს აქტივების ჯგუფზე ვალდებულებების შეუსრულებლობას. საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. სესხების ან მისაღები ანგარიშების შემთხვევაში კომპანია გამოცდილების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას საბაზრო მონაცემების არსებული გარემოებების შესაბამისად დაკორექტირებაზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული სესხის გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 112754 ლარი იყო (2016 წ - 88595 ლარი). დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-7 შენიშვნაში.

6. ფული და ფულადი ეკვივალენტები

	2017 ლარი	2016 ლარი
ფული სალაროში ლარი	3 923	4 999
ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	5 349	5 126
სულ ნაშთი სალაროში	9 272	10 125
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ლარში	25 047	26 154
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	-	2 878
სულ ნაშთი საბანკო ანგარიშებზე	25 047	29 032
	34 319	39 157

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფულადი სახსრების უმეტესობა განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

7. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები დაყოფილია ძირითადად მსესხებლის შემოსავლის წყაროსა და სესხის მიზნობრიობის გათვალისწინებით.

	2017 ლარი	2016 ლარი
ძირი თანხა	1 981 591	2 038 834
დარიცხული პროცენტი	71 887	63 405
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	2 053 478	2 102 239

სესხის პორთფელი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით

ყველა სესხს კომპანია გასცემს საქართველოში მყოფ კლიენტებზე, რომლებიც დასაქმებულები არიან შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში:

	2017 ლარი	2016 ლარი
კლიენტებზე გაცემული სესხები		
სამომხმარებლო	1 274 422	1 188 336
ვაჭრობა და მომსახურება	822 182	960 372
სოფლის მეურნეობა	27 258	31 023
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	12 635	-
დანარჩენი სფეროები	29 735	11 102
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	2 166 232	2 190 833
გაუფასურების რეზერვი	(112 754)	(88 594)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	2 053 478	2 102 239

	2017		2016	
	ლარი	%	ლარი	%
კლიენტებზე გაცემული სესხები				
სამომხმარებლო	1 274 422	58.83%	1 188 336	54.24%
ვაჭრობა და მომსახურება	822 182	37.95%	960 372	43.84%
სოფლის მეურნეობა	27 258	1.26%	31 023	1.42%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	12 635	0.58%	-	0.00%
დანარჩენი სფეროები	29 735	1.37%	11 102	0.51%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	2 166 232	100%	2 190 833	100%
გამოკლებული: სესხის რეზერვი	(112 754)	0%	(88 594)	0%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	2 053 478	100%	2 102 239	100%

სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2017	2016
	ლარი	ლარი
ნაშთი წლის დასაწყისში	(88 595)	(74 773)
წმინდა ხარჯი წლის განმავლობაში	(463 863)	(313 303)
ჩამოწერა წლის განმავლობაში	559 777	375 065
ამოღება წლის განმავლობაში	(120 073)	(75 584)
ნაშთი წლის ბოლოს	(112 754)	(88 595)

შემდეგ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია სესხები ტიპების მიხედვით გაუფასურების რეზერვთან მიმართებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	საბალანსო ღირებულება
	ლარი	ლარი	ლარი
კლიენტებზე გაცემული სესხები			
სამომხმარებლო	1 274 422	(61 860)	1 212 562
ვაჭრობა და მომსახურება	822 182	(48 749)	773 433
სოფლის მეურნეობა	27 258	(1 352)	25 906
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	12 635	(125)	12 510
დანარჩენი სფეროები	29 735	(668)	29 067
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	2 166 232	(112 754)	2 053 478

შემდეგ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია სესხების ტიპების მიხედვით გაუფასურების რეზერვთან მიმართებაში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	საბალანსო ღირებულება
	ლარი	ლარი	ლარი
კლიენტებზე გაცემული სესხები			
სამომხმარებლო	1 188 336	(35 894)	1 152 443
ვაჭრობა და მომსახურება	960 372	(50 158)	910 214
სოფლის მეურნეობა	31 023	(1 683)	29 340
დანარჩენი სფეროები	11 102	(860)	10 242
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	2 190 833	(88 595)	2 102 239

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო)
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სამომხმარებლო სესხები					
არავადაგადაცილებული	1 102 606	(11 026)	32 354	1 123 934	1%
1-3 დღემდე ვადაგადაცილება	4 000	(80)	117	4 037	2%
4-30 დღემდე ვადაგადაცილება	23 250	(2 325)	682	21 607	10%
31-90 დღემდე ვადაგადაცილება	43 699	(10 925)	1 282	34 057	25%
91-150 დღემდე ვადაგადაცილება	43 593	(21 797)	1 279	23 076	50%
151-180 დღემდე ვადაგადაცილება	20 944	(15 708)	615	5 851	75%
სულ სამომხმარებლო სესხები	1 238 092	(61 860)	36 330	1 212 562	5.00%

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო)
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ვაჭრობა და მომსახურების სესხები					
არავადაგადაცილებული	671 638	(6 716)	28 600	693 522	1%
1-3 დღემდე ვადაგადაცილება	1 411	(28)	60	1 443	2%
4-30 დღემდე ვადაგადაცილება	25 684	(2 568)	1 094	24 209	10%
31-90 დღემდე ვადაგადაცილება	39 158	(9 790)	1 667	31 036	25%
91-150 დღემდე ვადაგადაცილება	33 547	(16 774)	1 429	18 202	50%
151-180 დღემდე ვადაგადაცილება	17 164	(12 873)	731	5 022	75%
სულ ვაჭრობა და მომსახურების სესხები	788 602	(48 749)	33 581	773 434	6.18%

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო)
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სოფლის მეურნეობის სესხები					
არავადაგადაცილებული	23 187	(232)	848	23 803	1%
31-90 დღემდე ვადაგადაცილება	1 737	(434)	64	1 366	25%
91-150 დღემდე ვადაგადაცილება	1 371	(686)	50	736	50%
სულ სოფლის მეურნეობის სესხები	26 295	(1 352)	962	25 905	5.14%

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო)
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის სესხები					
არავადაგადაცილებული	12 460	(125)	176	12 511	1%
სულ ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის სესხები	12 460	(125)	176	12 511	1.00%

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო) ლარი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
დანარჩენი სფეროების სესხები					
არავადაგადაცილებული	27 312	(273)	793	27 832	1%
31-90 დღემდე ვადაგაცილება	1 584	(396)	46	1 234	25%
სულ დანარჩენი სფეროების სესხები	28 896	(669)	839	29 066	2.32%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	2 094 345	(112 755)	71 888	2 053 478	5.38%

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო) ლარი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სამომხმარებლო სესხები					
არავადაგადაცილებული	1 093 418	(10 934)	24 512	1 106 996	1%
1-3 დღემდე ვადაგადაცილება	1 674	(33)	38	1 678	2%
4-30 დღემდე ვადაგაცილება	18 450	(1 845)	414	17 019	10%
31-90 დღემდე ვადაგაცილება	29 849	(7 462)	669	23 056	25%
91-150 დღემდე ვადაგაცილება	16 028	(8 014)	359	8 373	50%
151-180 დღემდე ვადაგაცილება	10 129	(7 597)	227	2 759	75%
სულ სამომხმარებლო სესხები	1 169 548	(35 886)	26 219	1 159 881	3.07%

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო) ლარი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ვაჭრობა და მომსახურების სესხები					
არავადაგადაცილებული	808 455	(8 085)	31 269	831 640	1%
1-3 დღემდე ვადაგადაცილება	1 925	(39)	74	1 961	2%
4-30 დღემდე ვადაგაცილება	15 622	(1 562)	604	14 664	10%
31-90 დღემდე ვადაგაცილება	45 893	(11 473)	1 775	36 195	25%
91-150 დღემდე ვადაგაცილება	22 872	(11 436)	885	12 321	50%
151-180 დღემდე ვადაგაცილება	23 438	(17 579)	907	6 766	75%
სულ ვაჭრობა და მომსახურების სესხები	918 205	(50 173)	35 514	903 546	5.46%

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო) ლარი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სოფლის მეურნეობის სესხები					
არავადაგადაცილებული	24 957	(250)	911	25 619	1%
31-90 დღემდე ვადაგაცილება	2 823	(706)	103	2 220	25%
91-150 დღემდე ვადაგაცილება	1 440	(720)	53	773	50%

სულ სოფლის მეურნეობის სესხები	29 220	(1 675)	1 067	28 612	5.73%
	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო) ლარი
დანარჩენი სფეროების სესხები					
არავადაგადაცილებული	8 069	(81)	467	8 455	1%
4-30 დღემდე ვადაგაცილება	1 554	(155)	90	1 489	10%
151-180 დღემდე ვადაგაცილება	832	(624)	48	256	75%
სულ დანარჩენი სფეროების სესხები	10 455	(860)	605	10 200	8.23%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	2 127 428	(88 594)	63 405	2 102 239	4.16%

სესხის გაუფასურების გაანგარიშებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები და მოსაზრებები

სესხის გაუფასურებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სხვადასხვა ფაქტორებმა, რომელიც წარმოიშობა სესხის პირველადი აღიარების შემდეგ, რაც თავის მხრივ მოქმედებს სესხებთან ასოცირებულ სავარაუდო მომავალ ფულად ნაკადებზე.

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ფაქტორები შეიძლება იყოს:

- ✓ სასესხო ხელშეკრულებასთან მიმართებაში დაგვიანებული გადახდები;
- ✓ მნიშვნელოვანი სირთულეები მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაში.
- ✓ ბიზნეს გარემოს გართულება, ნეგატიური ცვლილებები მსესხებლის ბაზარზე.

საკრედიტო საქმიანობაში საყოველთაოდ მიღებული სტანდარტების შესაბამისად კომპანია, მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ახორციელებს სესხზე დანაკარგის დარეზერვების პოლიტიკას.

თითოეულ სესხზე შესაძლო დანაკარგის/ხარჯის მიყენება ხდება შესაბამისი კლასიფიკაციით, რის საფუძველზეც ასევე ხდება სესხებზე შესაბამისი სტატუსის მინიჭება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

მიღებულია სესხების შემდეგი თანმიმდევრობით კლასიფიკაცია: საიმედო, ნაკლებად საიმედო, პრობლემური და უიმედო.

არავადაგადაცილებული სესხების გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ქმნის მთლიან ანარიცხს 1%-ის ოდენობით, ეკონომიკური გარემოსა და საბაზრო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით.

სესხის უზრუნველყოფა

ნებისმიერი სახის სესხის პროდუქტის გაცემის შემთხვევაში ორგანიზაციას მსესხებელმა უნდა წარუდგინოს თავდები პირი ან პირები სესხის უზრუნველსაყოფად. მათ რაოდენობას (არა უმეტეს სამისა) განსაზღვრავს საკრედიტო ოფიცერი საკრედიტო თანხისა და მოკვლევის სხვა გარემოებების საფუძველზე.

8. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	იჯარით აღებული კონტაინერები	სულ
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	7 213	10 625	3 482	10 577	31 897
შემოსვლა	365	-	129	-	494
გასვლა	-	-	-	-	-

დარიცხული ცვეთა	(2 145)	(1 875)	(1 057)	(2 115)	(7 192)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	5 433	8 750	2 554	8 462	25 199
შემოსვლა	4 881	-	370	-	5 251
გასვლა	-	-	-	-	-
დარიცხული ცვეთა	(2 079)	(1 875)	(718)	(2 115)	(6 787)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	8 235	6 875	2 206	6 347	23 663

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

კომპანია საგადასახადო მიზნით იყენებს ძირითადი საშუალებების სრულად გამოქვითვის მეთოდს.

9. არამატერიალური აქტივები

	<i>პროგრამული უზრუნველყოფა</i>
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	-
შემოსვლა	40 124
დარიცხული ამორტიზაცია	(334)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	39 790

10. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ნაშთებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობა წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივს 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დროებითი სხვაობების მოძრაობა 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	<i>დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება</i>		<i>დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება</i>	
	2015	მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	2016	მოგება-ზარალის ანგარიშგებაში
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი				
გაცემული სესხები	40 208	46 753	86 961	(18 743)
ფ/პ გადაუხდელო პროცენტები	560	151	711	(287)
გადავადებული საგადასახადო აქტივი	40 768	46 904	87 672	(19 030)
დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი				
ძირითადი საშუალებები	(1 251)	475	(776)	(220)
არამატერიალური აქტივი	-	-	-	(853)
მისაღები ჯარიმები	(1 189)	(453)	(1 642)	(284)
გადავადებული საგადასახადო	(2 440)	22	(2 418)	(1 357)
				(3 775)

ვალდებულებები

გადავადებული საგადასახადო
აქტივები/(ვალდებულება)

38 328

46 926

85 254

(20 387)

64 867

11. სხვა აქტივები

	2017 ლარი	2016 ლარი
მარაგი	1 018	625
გადახდილი ავანსები	9 961	5 561
მისაღები ჯარიმები	12 841	10 950
	23 820	17 136

12. მიღებული სესხები

	ფინანსური ინსტიტუტებიდან	იურიდიული პირიდან	ფიზიკური პირებიდან	სულ
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	19 975	1 470 000	188 848	1 678 823
სესხის მიღება	330 000	-	178 417	508 417
სესხის დაფარვა	(173 213)	(40 000)	(190 065)	(403 278)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	176 762	1 430 000	177 200	1 783 962

კომპანიას სს „საქართველოს ბანკიდან“ მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში ლარში, სესხის ნაშთი 2017 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 176762 ლარია. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11.5%-ს. უზრუნველყოფის სახეს წარმოადგენს პარტნიორების პირადი უძრავი ქონება.

ასევე კომპანიას მიღებული აქვს სესხები როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირებისაგან.

იურიდიული პირისაგან (ააიპ „ნდობის კავშირისგან“, რომელიც ამავე დროის წარმოადგენს კომპანიის 1%-ის მფლობელ პარტნიორს) მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში, რომელის ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 1430000 ლარია. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 5%-ს. სესხი არის არაუზრუნველყოფილი.

ფიზიკური პირებისაგან მიღებული სესხები ყველა არის მოკლევადიანი და არაუზრუნველყოფილი. საპროცენტო განაკვეთი 13%-ია და 2017 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 177200 ლარს.

ქვემოთ ცრილში მოცემულია ვადები და ვალდებულების დაფარვის სქემა:

				2017		2016	
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	ნომინალური ღირ-ბა	საბალანსო ღირ-ბა	ნომინალური ღირ-ბა	საბალანსო ღირ-ბა
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	ლარი	11.5%	2021	176 762	176 762	19 975	19 975
სესხი იურიდიული პირებისაგან	ლარი	5.0%	2025	1 430 000	1 430 000	1 470 000	1 470 000
სესხები ფიზიკური პირებისაგან	ლარი	13.0%	2018	177 200	177 200	13 698	13 698
სულ საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ვალდებულებები				1 783 962	1 783 962	1 503 673	1 503 673

ფინანსური საქმიანობიდან მოზიდული სახსრების ანალიზი

ინფორმაცია ფინანსური საქმიანობიდან მოზიდული სახსრების ცვლილებების მ/შ ფულადი და არაფულადი სახით წარმოდგენილია ქვემოთ:

	ნაშთი 31.12.2017	ნაშთი 31.12.2016	ცვლილება პერიოდში		
			სულ	ფულადი	არაფულადი
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	176 762	19 975	156 787	156 787	-
სესხები იურიდიული პირიდან	1 430 000	1 470 000	(40 000)	(40 000)	-
სესხები ფიზიკური პირებიდან	177 200	188 848	(11 648)	(11 648)	-
სულ	1 783 962	1 678 823	105 139	105 139	

13. საკუთარი კაპიტალი

	2017 ლარი	2016 ლარი
საწესდებო კაპიტალი	301 000	301 000
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში	274 312	246 785
დარიცხული და გადახდილი დივიდენდი	(160 000)	(193 393)
მიმდინარე პერიოდის მოგება	34 512	220 920
სულ საკუთარი კაპიტალი	449 824	575 312

დივიდენდები

2017 წლის 10 აპრილს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, გამოცხადდა 2016 წლის გაუნაწილებელი მოგებიდან 160 000 ლარის დივიდენდები გაცემა. გაცხადებული დივიდენდები გაცემული იქნა 2 ეტაპად: 80 000 ლარი 2017 წლის აპრილის თვეში და 80 000 ლარი 2017 წლის მაისის თვეში.

14. პირობითი ვალდებულებები

კომპანიის ბიზნესსაქმიანობა წარმოებს საქართველოში. საქართველო ანხორციელებს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების მიხედვით ავითარებს სამართლებრივ, საგადასახადო და სარეგულაციო ბაზას. ქართული ეკონომიკის მომავალი მდგრადობა ბევრადაა დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიმართოს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, მისი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა, არსებული რედაქციით ნაწილობრივ ბუნდოვანია და ექვემდებარება სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას, შერჩევით და არათანმიმდევრულ გამოყენებას და შესაძლებელია კომპანიის ისეთი ოპერაციები და საქმიანობა დადგეს მომავალში ნებისმიერ დროს ეჭვქვეშ, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა. ამის გამო კომპანიას შესაბამისი ორგანოების მიერ შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებას ექვემდებარება სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში საგადასახადო შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოქმედ კანონმდებლობას სათანადოდ განმარტავს და რომ კომპანიას დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

15. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2017 ლარი	2016 ლარი
საპროცენტო შემოსავალი სამომხმარებლო სესხებიდან	577 483	487 387
საპროცენტო შემოსავალი ვაჭრობა და მომსახურების სესხებიდან	409 859	466 092
საპროცენტო შემოსავალი სოფლის მეურნეობის სესხებიდან	13 630	10 140
საპროცენტო შემოსავალი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობიდან	501	-
საპროცენტო შემოსავალი დანარჩენი სფეროების სესხებიდან	4 641	3 811
სულ საპროცენტო შემოსავალი	1 006 115	967 430
საპროცენტო ხარჯი ბანკებიდან მიღებულ სესხებზე	(16 850)	6 394
საპროცენტო ხარჯი იურიდიულ პირებიდან მიღებულ სესხებზე	(72 682)	25 535
საპროცენტო ხარჯი ფიზიკურ პირებიდან მიღებულ სესხებზე	(24 184)	71 826
სულ საპროცენტო ხარჯი	(113 716)	103 755
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	892 399	863 675

16. სესხის გაუფასურების ზარალი

	2017 ლარი	2016 ლარი
სამომხმარებლო სესხების მიხედვით	236 271	136 004
ვაჭრობა და მომსახურების სესხების მიხედვით	230 750	186 484
სოფლის მეურნეობის სესხების მიხედვით	6 495	3 624
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სესხების მიხედვით	125	-
დანარჩენი სფეროების სესხების მიხედვით	3 594	738
სულ	477 235	326 850

17. შემოსავალი ჯარიმების სახით

	2017 ლარი	2016 ლარი
სამომხმარებლო სესხებიდან	35 248	22 928
ვაჭრობა და მომსახურების სესხებიდან	34 238	32 163
სოფლის მეურნეობის სესხებიდან	1 131	454
დანარჩენი სფეროების სესხებიდან	421	198
სულ	71 038	55 743

18. სხვა შემოსავალი

	2017 ლარი	2016 ლარი
საპროცენტო შემოსავალი	77 365	79 581
შემოსავალი ადრე დაფარვის საკომისიოდან	17 160	21 843
შემოსავალი ვალუტის კონვერტაციიდან	10	29
საქართველოს ბანკის აპარატის იჯარიდან მიღებული შემოსავალი	84	-
შემოსავალი ცნობის გაცემიდან	40	50
გაუთვალისწინებელი შემოსავლები	2 632	4 380
სულ	97 291	105 884

19. საოპერაციო ხარჯი

	2017 ლარი	2016 ლარი
პერსონალის ხარჯი	369 400	363 473
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	7 121	7 192
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	12 000	10 000
წარმომადგენლობითი ხარჯი	1 215	764
კომუნალური მომსახურების ხარჯი	2 807	2 579
კომუნიკაციის ხარჯი	8 076	4 665
ოფისის იჯარის ხარჯი	27 050	24 300
საკანცელარიო ხარჯი	3 162	2 542
სხვა საოპერაციო ხარჯი	10 032	8 365
	440 863	423 880

20. მოგების გადასახადის ხარჯი

	2017 ლარი	2016 ლარი
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი	(88 012)	(85 911)
დროებითი სხვაობის თავდაპირველ წარმოქმნასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო ხარჯი (შემოსავალი)	(20 386)	46 925
მოგების გადასახადის ხარჯი	(108 398)	(38 986)

საგადასახადო ხარჯსა და სააღრიცხვო მოგებას შორის კავშირის განმარტება

	2017 ლარი	2016 ლარი
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	142 910	259 906
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	(21 437)	(38 986)
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების ეფექტი	(86 961)	-
მოგების გადასახადის ხარჯი	(108 398)	(38 986)

საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები.

საქართველოს საგადასახადო კანონში მოგების გადასახადთან დაკავშირებით, 2016 წლის ივნისში შევიდა ცვლილებები, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირებზე ან პარტნიორ არარეზიდენტებზე განაწილებული მოგება და არა საწარმოს მიერ ფაქტობრივად მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საწარმოებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასით შესრულებული გარიგებები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბიზნესსაქმიანობასთან, ან საქონლისა და მომსახურების

უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. საგადასახადო ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება მსგავსი მოგების განაწილებას, არ ახდენს გავლენას ორგანიზაციის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

21. რისკების მართვა და შიდა კონტროლი

(ა) რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და კომპანიაზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებაზე.

(ბ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა ფასების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების კომპანიაზე გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

(გ) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიაზე მოქმედებს ფინანსური პოზიციისა და ფულადი ნაკადების ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შედეგად. საპროცენტო მარჟა შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდევ ან განაპირობოს ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ რყევებს.

კომპანია პროცენტის დარიცხვას აჩერებს იმ გაცემულ სესხებზე, რომელთა ამოღება გართულებული იყო და სასამართლოს მიერ სათანადო გადაწყვეტილება მიღებული. არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოების გათვალისწინებით, კომპანია უკიდურეს შემთხვევებში მიმართავს სააღსრულებო ბიუროს, კუთვნილი თანხების იძულებით დასაბრუნებლად.

(დ) საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვა ხდება საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის გეპის მდგომარეობა, ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის:

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	უპროცენტო	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი 2016							
წელი							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	-	-	-	34 319	34 319
კლიენტებზე	202 693	387 910	1 462 875	-	-	-	2 053 478

გაცემული სესხები

სულ აქტივები	202 693	387 910	1 462 875	-	-	34 319	2 087 797
ვალდებულებები							
მიღებული სესხები	(93 201)	(14 000)	(70 000)	(176 761)	(1 430 000)	-	(1 783 962)
გადასახდელი პროცენტები	(5 079)	-	-	-	-	-	(5 079)
სულ ვალდებულებები	(98 280)	(14 000)	(70 000)	(176 761)	(1 430 000)	-	(1 783 962)
გადაფარვა	104 413	373 910	1 392 875	(176 761)	(1 430 000)	34 319	303 835

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	უპროცენტო	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი 2016 წელი							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	-	-	-	39 157	39 157
კლიენტებზე გაცემული სესხები	853 043	633 584	608 815	6 797	-	-	2 102 239
სულ	853 043	633 584	608 815	6 797	-	39 157	2 141 396
ვალდებულებები							
მიღებული სესხები	(119 562)	(44 907)	(50 116)	(381 648)	(1 088 352)	-	(1 684 585)
სულ	(119 562)	(44 907)	(50 116)	(381 648)	(1 088 352)	-	(1 684 585)
გადაფარვა	733 481	588 677	558 699	(374 851)	(1 088 352)	39 157	456 811

(ე) საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები ასახავს ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვამდე შემოსავლიანობის მიახლოებით მაჩვენებელს.

	2017			2016		
	საშუალო ეფექტური განაკვეთი %			საშუალო ეფექტური განაკვეთი %		
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები						
კლიენტებზე გაცემული სესხები	67%	0%	0%	67%	0%	0%
საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ვალდებულება						
მიღებული სესხები	6%	0%	0%	5%	16%	15%

(ვ) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან

მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სავალუტო გაცვლითი კურსის გამო.

ქვემოთ მოტანილ ცხრილებში ასახულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო პოზიციის გავლენის სტრუქტურა 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი 2017 წელი	GEL	EUR	USD	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28 970	4 759	590	34 319
კლიენტებზე გაცემული სესხები	2 053 478	-	-	2 053 478
სულ აქტივები	2 082 448	4 759	590	2 087 797
ვალდებულებები				
სესხები	1 783 962	-	-	1 783 962
სულ ვალდებულებები	1 783 962	-	-	1 783 962
წმინდა პოზიცია	298 486	4 759	590	303 835

31 დეკემბერი 2016 წელი	GEL	EUR	USD	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31 153	531	7 473	39 157
კლიენტებზე გაცემული სესხები	2 102 239	-	-	2 102 239
სულ აქტივები	2 133 392	531	7 473	2 141 396
ვალდებულებები				
სესხები	1 517 673	39 116	122 034	1 678 823
სულ ვალდებულებები	1 517 673	39 116	122 034	1 678 823
წმინდა პოზიცია	615 719	(38 585)	(114 561)	462 573

სავალუტო კურსის მგრძნობელობის ანალიზი

ევროსთან და აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გაუფასურება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემცირებდა). ანალიზი წარმოდგენილია გადასახადის გამოკლების გარეშე და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც კომპანიის აზრით მოსალოდნელი იყო ანგარიშგების პერიოდის ბოლოსათვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დარჩენილი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

	2017		2016	
	სავალ. კურსის ცვლილება %	გავლენა მოგებაზე	სავალ. კურსის ცვლილება %	გავლენა მოგებაზე
აშშ დოლარის გამყარება ლართან	15%	607	15%	(14 606)
ევროს გამყარება ლართან	15%	75	15%	(4920)

ქვემოთ მოცემულია წლის განმავლობაში გამოყენებული მნიშვნელოვანი სავალუტო გაცვლითი კურსები:

	საშუალო განაკვეთი		სპოტ განაკვეთი ანგარიშსწორების თარიღისათვის	
	2017	2016	2017	2016
1 აშშ დოლარი	2,5095	2,3667	2.5922	2.6468
1 ევრო	2,8322	2,6171	3.1044	2.7940

(ზ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა.

დაკრედიტების პირობები

საკრედიტო კლიენტების მომსახურება წარმოებს რიგითობის წესით სქესობრივი, ეთნიკური და რელიგიური თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით.

ორგანიზაცია პოტენციურ კლიენტად განიხილავს მხოლოდ 18-დან 70 წლამდე მოქმედი პირადობის მოწმობის მქონე მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ან დროებით ცხოვრობენ სამეგრელოს რეგიონში ან მისი მომიჯნავე რაიონებში. გარდა ამისა:

ბიზნეს სესხის მიღების მსურველები:

1. ჩაბმულნი უნდა იყვნენ მცირე კომერციულ საქმიანობაში ან ვალდებულნი არიან წარმოადგინონ კონკრეტული რაციონალური შემოთავაზება დასაფინანსებლად;
2. უნდა გააჩნდეს ინდივიდუალურ მფლობელობაში გარკვეული საწყისი კაპიტალი რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნეს: ნაღდი ფულით, სასაქონლო მარაგებით, მოწყობილობებით და სხვა მატერიალური აქტივებით;
3. მოწოდებული ფინანსური ინფორმაცია რეალურად უნდა ასახავდეს წარმოდგენილი საკრედიტო პროექტის ეკონომიურ ეფექტს და მის რენტაბელობას, ფულის შესაბამის გეენრაციის უნარს;
4. საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ სამეგრელოს რეგიონში;

სამომხმარებლო სესხის მიღებისათვის წარმოდგენილ უნდა იყოს სტაბილური, შემოსავლის წყაროს არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები, როგორიცაა:

1. ცნობა ხელფასის შესახებ, დადასტურებული ხელმძღვანელის მიერ;
2. მინიმუმ სამი თვის ამონაწერი ყველა არსებული საბანკო ანგარიშიდან;
3. საიჯარო ან ქირავნობის ხელშეკრულების დედანი;
4. ფულადი გზავნილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საკმარისი სტაბილური შემოსავლის არსებობას.

ნებისმიერი სახის სესხის პროდუქტის გაცემის შემთხვევაში ორგანიზაციას მსესხებელმა უნდა წარუდგინოს თავდები პირები სესხის უზრუნველსაყოფად. მათ რაოდენობას (არა უმეტეს სამისა) განსაზღვრავს საკრედიტო ოფიცერი. საკრედიტო თანხისა და მოკვლევის სხვა გარემოებების საფუძველზე.

სესხის დამტკიცების და მონიტორინგის პროცედურები

სესხის განაცხადის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრედიტო კომიტეტი, რომელიც იმართება ყოველი სამუშაო დღის დათქმულ დროს და ამტკიცებს კომპანიის ხელმძღვანელი. ხელმძღვანელისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულ პირობებს. წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. ამისათვის ის იყენებს შეფასების მოდელებს და განცხადებაში წარდგენილი ინფორმაციის შემოწმების პროცედურებს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

მონიტორინგის საფუძველზე კლიენტის გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცრები და მის შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. მონიტორინგის შედეგები ყოველთვიურად წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელს, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მოსალოდნელ რისკებზე. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის დროულ განეიტრალებას.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში. კლიენტებზე გაცემული სესხებისა და საკრედიტო რისკების კონცენტრაცია გაანალიზებულია მე-7 შენიშვნაში.

(თ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა განსხვავებულია. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. სრული შესაბამისობის მიღწევა ფინანსურ ინსტიტუტში იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც სხვადასხვა ტიპისაა.

კომპანია მართავს ლიკვიდურობას, უზრუნველყოფს რა ხელმისაწვდომ თანხებს ნებისმიერ დროს ვადადამდგარი, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსება, რომელიც მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს ბანკებისა და სხვა პირებისაგან, რათა შეძლოს სწრაფად და შეუფერხებლად უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებს.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს:

- მოსალოდნელი ფულადი ნაკადების განსაზღვრას ძირითადი ვალუტების მიხედვით და ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელი იქნება ამ კუთხით;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას;
- ვალდებულებების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- ვალდებულებების დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფას;
- ლიკვიდურობისა და დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით 217 და 2016 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული თანხების ანალიზი:

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2017 წელი						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	34 319					34 319
კლიენტებზე გაცემული სესხები	202 693	387 910	1 462 875	-	-	2 053 478
სხვა მოთხოვნები	23 820					23 820
სულ	260 832	387 910	1 462 875	-	-	2 111 617
ვალდებულებები						
მიღებული სესხები	(93 201)	(14 000)	(70 000)	(176 761)	(1 430 000)	(1 783 962)
გადასახდელი პროცენტები	(5 079)	-	-	-	-	(5 079)
სულ	(98 280)	(14 000)	(70 000)	(176 761)	(1 430 000)	(1 789 041)
გადაფარვა	162 552	373 910	1 392 875	(176 761)	(1 430 000)	322 576

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2016 წელი						

აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	39 157	-	-	-	-	39 157
კლიენტებზე გაცემული სესხები	853 043	633 584	608 815	6 797	-	2 102 239
სხვა მოთხოვნები	6 186	-	-	-	-	6 186
სულ	898 386	633 584	608 815	6 797	-	2 147 582
ვალდებულებები						
მიღებული სესხები	(119 562)	(44 907)	(50 116)	(381 648)	(1 088 352)	(1 684 585)
სხვა ვალდებულებები	(9 087)	-	-	-	-	(9 087)
სულ	(128 649)	(44 907)	(50 116)	(381 648)	(1 088 352)	(1 693 672)
გადაფარვა	769 737	588 677	558 699	(374 851)	(1 088 352)	453 910

(ი) კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები. ამ მოთხოვნების მიზანია განმტკიცდეს საკმარისი გადახდისუნარიანობის ზღვრები. კომპანიის მიზანია შეასრულოს ეს მოთხოვნები და შესაბამისად, იგი აკმაყოფილებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს, რომ დაიცვას კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი, რათა მან გააგრძელოს პარტნიორთა შემოსავლით უზრუნველყოფა, ასევე უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი რისკის დონის შესაბამისი მომსახურების ფასების დაწესებით.

კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და აქტივებისათვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

კომპანია კაპიტალის სიდიდეს განსაზღვრავს რისკის პროპორციულად. კომპანია ახორციელებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას და მასში კორექტირებები შეაქვს ეკონომიკურ პირობებსა და შესაბამის აქტივებთან დაკავშირებულ რისკის მახასიათებლებში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს მესაკუთრეებისთვის გადასახდელი დივიდენდების სიდიდე, დაუბრუნოს მესაკუთრეებს კაპიტალი, გაზრდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

(კ) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება.

კომპანიას მართავს: პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი.

ქვემოთ წარმოდგენილია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება, რომლებიც შესულია თანამშრომელთა ხელფასებშია (საოპერაციო ხარჯები - შენიშვნა 16). ასევე დაკავშირებული მხარეებთან განხორციელებული სხვა ოპერაციები, რომლებიც მონაწილეობს გაცემული სესხებში - (შენიშვნა 7), ნასესხებ სახსრებში - (შენიშვნა 11) და საპროცენტო შემოსავალსა და საპროცენტო ხარჯში - (შენიშვნა - 12)

2017	2016
ლარი	ლარი

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

106 420	110 400
106 420	110 400

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან გარიგების მიმდინარე ნაშთები და შემოსავალი და ხარჯი შემდეგია:

	2017 ლარი	2016 ლარი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
აქტივები		
გაცემული სესხები	4 985	8 718
სრული შემოსავლების ანგარიშგება		
საპროცენტო შემოსავალი	1 270	2223

(ლ) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია იმ ფასთან მიახლოება, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების გადაცემით.

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

გაცემული სესხების და ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და დარჩენილი ვადის მქონე სესხების მიმდინარე განაკვეთის გამოყენებით.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები.

ქვემოთ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით, რომლებზეც განაწილებულია სამართლიანი ღირებულების შეფასება. რიცხობრივი მონაცემები ეყრდნობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს:

სამართლიანი ღირებულების შეფასება:				
აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემები (მე-2 დონე)	მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)	სულ	საბალანსო ღირებულება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	34 319	-	34 319
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	2 053 478	2 053 478

ვალდებულებები

მიღებული სესხები	-	1 783 962	-	1 783 962	1 783 962
------------------	---	-----------	---	-----------	-----------

სამართლიანი ღირებულების შეფასება:

	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემები (მე-2 დონე)	მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)	სულ	საბალანსო ღირებულება
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	39 157	-	39 157	39 157
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	2 102 239	2 102 239	2 102 239
ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	1 678 823	-	1 678 823	1 678 823

(მ) ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2017 წლის 23 დეკემბერს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებულმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა განადგურებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეავსონ 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა – 2018 წლის 1 სექტემბრამდე;

ბ) არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა – 2019 წლის 1 ივლისამდე.

აღნიშნული ცვლილება ძალაშია 2018 წლის 11 იანვრიდან (გამოქვეყნებიდან).

ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია კომპანიის 2017 წლის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია გეგმავს პარტნიორებთან შეთანხმებით უზრუნველყოს საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულება ვადებში.

კომპანიამ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით 2018 წლის 07 მაისს გამოაცხადა და გასცა 235785 ლარის დივიდენდი. აქედან 86961 ლარის დივიდენდი გაცემულია წინასწარ.

(ნ) ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შპს მისო „კრედიტ სერვისი“ პარტნიორთა კრების მიერ 2018 წლის 04 ივნისს.

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შპს მისო "კრედიტ სერვისი" წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, ქ. ზუგდიდში, რეგისტრირებული "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, ჩართულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში და აყვანილია საგადასახადო აღრიცხვაზე 11.12.2007 წ.

კომპანიის იურიდიული მისამართი:

2100 ქ. ზუგდიდი, იონა მეუნარგიას ქ. №11

კომპანიის მიზანია ხელი შეუწყოს და განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, გააუმჯობესოს კლიენტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, სამეგრელოს რეგიონში. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

კომპანიას საფინანსო სექტორში საქმიანობის საკმაო გამოცდილება (10 წელი) გააჩნია, რაც საშუალებას აძლევს მას იყოს ღირსეული კონკურენტი ბაზარზე ჭარბი რაოდენობით წარმოდგენილი საფინანსო კომპანიებისათვის.

გასულ, 2017 წელს, კომპანიის საპროცენტო შემოსავლების ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 4%, მიუხედავად იმისა, რომ სესხის გაუფასურების ზარალის ზრდა იყო 46%, რამაც კომპანიის საბოლოო მოგება შეამცირა 84%-ით.



ეს ნეგატიური ტენდენცია ძირითადად გამოწვეული იყო ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარებით, რაც გამოიხატება მოსახლეობის უმუშევრობის დონისა და ქვეყნიდან მოსახლეობის მიგრაციის მაღალი მაჩვენებლებით (ეს ფაქტორები პირდაპირ აისახებიან კომპანიის მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის ხარისხზე).

მიუხედავად ამის, კომპანია მაინც ახერხებს განვითარებას და გეგმავს მოქმედების არეალის გაფართოებას. მომავალში დაგეგმილი გვაქვს ფილიალის გახსნა სენაკის მუნიციპალიტეტში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენი მომხმარებლების რაოდენობას.

ასევე, კომპანიამ 2017 წელს შეიძინა მონაცემთა ბაზის ახალი პროგრამა, რომელიც გაცილებით მძლავრია ძველთან შედარებით და პასუხობს მონაცემთა დამუშავების თანამედროვე მოთხოვნებს.


კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები (ვაჭრობა, მომსახურება, ტრანსპორტი, წარმოება და ა. შ.), აგრო სესხები, სამომხმარებლო სესხები და სხვა.

კომპანიის მომხმარებლები არიან რეგიონის მოსახლეობის თვითდასაქმებული სეგმენტის წარმომადგენლები, რომელთაც ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საბანკო მომსახურებაზე (მათ შორის ქალი – 1,085, მამაკაცი – 870).



კომპანიაში ირიცხება 15 თანამშრომელი (მათ შორის 4 ქალი). სასესხო ოფიცრების რაოდენობა – 7.

კომპანიის შიდა სტრუქტურული სურათი წარმოდგენილია შემდეგი დიაგრამის სახით:



კომპანია აღჭურვილია სათანადო მატერიალური და არამატერიალური აქტივებით, რაც მის თანამშრომლებს უქმის ნორმალურ პირობებს, რათა მომხმარებლებს მიაწოდონ მაღალი სტანდარტის მომსახურება.

კომპანია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს მომხმარებელთა უფლებების დაცვას საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

პირითადი რისკები

კომპანიის მიერ კლიენტებზე გაცემული სესხები უზრუნველყოფილია მსესხებელთან დაკავშირებული მესამე პირების (ფიზიკური) თავდებობით.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა ფასების რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდიან ცვლილებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიაზე მოქმედებს ფინანსური პოზიციისა და ფულადი ნაკადების ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შედეგად.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდიან ცვლილებას სავალუტო გაცვლითი კურსის გამო.

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა განსხვავებულია. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. სრული შესაბამისობის მიღწევა იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც სხვდსხვა ტიპისაა.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსება, რომელიც მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს ბანკებისა და სხვა პირებისაგან, რათა შეძლოს სწრაფად და შეუფერხებლად უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებს.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს:

- მოსალოდნელი ფულადი ნაკადების განსაზღვრას ძირითადი ვალუტების მიხედვით და ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელი იქნება ამ კუთხით;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას;
- ვალდებულებების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- ვალდებულებების დაფინანსებების გეგმის უზრუნველყოფას;
- ლიკვიდურობისა და დაფინანსებების გეგმების უზრუნველყოფას გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები (მომავალში დაგეგმილია არსებული მინიმალური სიდიდის სამჯერ გაზრდა). ამ მოთხოვნების მიზანია განმტკიცდეს საკმარისი გადახდისუნარიანობის ზღვრები.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს, რომ დაიცვას კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი, რათა მან გააგრძელოს პარტნიორთა შემოსავლით უზრუნველყოფა, ასევე უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი რისკის დონის შესაბამისი მომსახურების ფასების დაწესებით.

კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და აქტივებისათვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

კახა დარსანია

შპს მისო “კრედიტ სერვისი”-ს
აღმასრულებელი დირექტორი

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს:

- მოსალოდნელი ფულადი ნაკადების განსაზღვრას ძირითადი ვალუტების მიხედვით და ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელი იქნება ამ კუთხით;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას;
- ვალდებულებების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- ვალდებულებების დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფას;
- ლიკვიდურობისა და დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას გათვალისწინებული გარემოებების შემთხვევაში.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები (მომავალში დაგეგმილია არსებული მინიმალური სიდიდის სამჯერ გაზრდა). ამ მოთხოვნების მიზანია განმტკიცდეს საკმარისი გადახდისუნარიანობის ზღვრები.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს, რომ დაიცვას კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი, რათა მან გააგრძელოს პარტნიორთა შემოსავლით უზრუნველყოფა, ასევე უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი რისკის დონის შესაბამისი მომსახურების ფასების დაწესებით.

კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და აქტივებისათვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

კახა დარსანია

შპს მისო “კრედიტ სერვისი“-ს
აღმასრულებელი დირექტორი

